

ცვლილებები ძალაშია 08/05/2015–დან

ინტერნეტ-გვერდზე [www.procreditbank.ge](http://www.procreditbank.ge) განთავსებულ საბანკო მომსახურების პირობებში შევიდა შემდეგი ცვლილებები:

1. შეიცვალა ხელშეკრულების მე-2 მუხლის მე-15 პუნქტი და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

### პუნქტი 15

1. კლიენტი აცხადებს თანხმობას, ბანკმა, დაამუშავოს *(მონაცემთა დამუშავება - ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება)* კლიენტის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის, საბანკო და კომერციული, პერსონალური მონაცემების, ბიომეტრიული მონაცემების შემცველი, FATCA-ს (*FATCA - უცხოური ანგარიშების დაბეგვის შესახებ აშშ-ს აქტი*) შესაბამისი რეგულაციებით მოთხოვნილი ინფორმაცია შემდეგი მიზნებისათვის:

- კლიენტისთვის მომსახურების გაწევა;
- FATCA-ს მოთხოვნების შესრულება;
- მომსახურების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და ფინანსური ანგარიშგება;
- სტატისტიკური ინფორმაციის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში შეტანის მეშვეობით სხვადასხვა ტიპის კვლევის/მომსახურების განხორციელება;
- დაქირავებული კომპანიების მიერ მომსახურების განხორციელება;
- ექსპერტიზის ჩატარება;
- პირდაპირი მარკეტინგი (*პირდაპირი მარკეტინგი - ფოსტის, სატელეფონო ზარების, ელექტრონული ფოსტის ან სხვა სატელეკომუნიკაციო საშუალებით საქონლის, მომსახურების, დასაქმების ან დროებითი სამუშაოს შეთავაზება*);
- სხვადასხვა (ვიზა, მასტერქარდი და სხვა) წამახალისებელ გათამაშებაში მონაწილეობა;
- სს „კრედიტინფო საქართველოს“ მონაცემთა ბაზაში კლიენტის შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა;
- სახელმწიფო სერვისების სააგენტოდან ინფორმაციის გამოთხოვა/გადამოწმება

კლიენტი ასევე აცხადებს თანხმობას, ბანკმა, საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახადოს:

- ბანკის დამფუძნებელთათვის და მათი მაკონტროლებელი სუბიექტებისათვის;

- საბანკო/საკრედიტო/საოპერაციო/იურიდიული/გარე აუდიტორული და სხვა მომსახურების განმახორციელებელი მესამე პირებისათვის;
- სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
- ექსპერტიზის ჩასატარებლად საჭიროებიდან გამომდინარე და/ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

კლიენტის მიერ წინამდებარე თანხმობა გაცემულია ზემოაღნიშნული მიზნებით მონაცემების დამუშავებისათვის საჭირო ვადით. ამასთან, პირები, რომლებიც ამუშავებენ ინფორმაციას, უზრუნველყოფენ ინფორმაციის, საერთაშორისოდ აღიარებული უსაფრთხოების სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, დაცულ გარემოში შენახვას და გაცვლას დაცული საკომუნიკაციო არხების მეშვეობით.

წინამდებარე თანხმობა წარმოადგენს კლიენტის მიერ მონაცემების დამუშავებაზე გამოხატულ ნებაყოფლობით თანხმობას. მონაცემების დამუშავებაზე კლიენტის მიერ უარის გაცხადების შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია უარი თქვას კლიენტის მომსახურებაზე და/ან შეწყვიტოს მასთან გაფორმებული ნებისმიერი სახისა და შინაარსის ხელშეკრულება

კლიენტი უფლებამოსილია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ნებისმიერ დროს მოსთხოვოს ბანკს მის შესახებ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების შეწყვეტა, ასევე მოითხოვოს ინფორმაცია მისი დამუშავებული მონაცემების შესახებ, მოითხოვოს მონაცემების გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა (*მონაცემთა დაბლოკვა - მონაცემთა დამუშავების დროებით შეჩერება*), წაშლა და განადგურება, (აღნიშნული არ ვრცელდება ფულადი ვალდებულებების შესრულების შესახებ მისივე თანხმობით დამუშავებულ ინფორმაციაზე).

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია შემდეგ ბმულზე: <http://personaldata.ge/>